ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №14.1422286001

თარიღი:13/10/2022

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე

მომუშავე საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, საქართველოს კანონის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, რომლის საკურატორო სფეროდ განსაზღვრულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

ე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

ვ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

ზ) ნინო ლომთათიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საბჭოს მდივანი.

2. საჭოს შემადგენლობაში შეყვანის მიზნით, დაევალოს საბჭოს თავმჯდო-

მარეს უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ წარმომადგენლების კანდიდატურების შერჩევა არაუმეტეს 7 წევრისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის წარმოდგენა.

3. დამტკიცდეს საბჭოს თანდართული დებულება.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

4.1. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 23 იანვრის N72 ბრძანება.

4.2. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შემადგენლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 15 თებერვლის N162 ბრძანება.

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2022 წლის ___ ოქტომბრის
№_____ ბრძანებით

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო (შემდგომში - საბჭო) წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) მერის (შემდგომში - მერი) სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პირთა ღირსეული დამოუკიდებლად თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ” საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს წევრთა შემადგენლობა განსაზღვრება არაუმეტეს 14 წევრით, რომელთაგანაც თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების რაოდენობა არ უნდა იყოს 7 წევრზე მეტი.

2. სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს შემადგენლობაში შედის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არაუმეტეს 7 წარმომადგენელი, რომელთა კანდიდატურებს შეზღუდული შესაძლებლობის კატეგორიებისა და მიმართულებების მიხედვით მათ მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან შეარჩევს და წარუდგენს მერს საბჭოს თავმჯდომარე.

3. საბჭოს სხდომებს ორგანიზებას უწევს საბჭოს მდივანი.

4. საბჭოს აქვს უფლება შექმნას თემატური ჯგუფები, მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები, განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩართოს ისინი საბჭოს სხდომისას სამუშაო პროცესში მონაწილეობის მისაღებად, სათათბირო ხმის უფლებით.

5. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია პირადი განცხადება ან/და ამ დებულების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

მუხლი 4. საბჭოს ამოცანები

საბჭოს ამოცანებია:

1. მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე ერთიანი

მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და კოორდინაცია;

2. კომპეტენციის ფარგლებში, დაიცვას შშმ პირთა უფლებები და არ დაუშვას ამ ნიშნით მათი დისკრიმინაცია;

3. შეიმუშაოს და დანერგოს დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერისა და სოციალური ინკლუზიის პროგრამების შემუშავება და დანერგვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყონ:

ა) ადგილობრივ დონეზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში სრული მონაწილეობა, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების, მათ შორის, პერსონალური ასისტენტის მომსახურების გაცემა და აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელება;

ბ) კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად შესაბამისი ღონისძიებების პროგრამების/პროექტების შემუშავების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების ყველა ეტაპზე;

გ) თავიანთ დაქვემდებარებაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების როგორც ინფრასტრუქტურის, ისე საგანმანათლებლო პროგრამების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის სავალდებულო ხელმისაწვდომობა.

4. ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ან/და მათი კანონიერი წარმომადგენლები როგორც ორგანიზაციის წევრთა, ისე მმართველი/გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წევრთა უმრავლესობას წარმოადგენენ და რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

5. შესაბამის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ სათანადო ფუნქციების მქონე სხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან ერთად ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების საინფორმაციო-საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისების დანერგვასა და განვითარებას.

მუხლი 5. საბჭოს ფუნქციები

1. საბჭოს ფუნქციებია:

ა) რეკომენდაციების შემუშავება შშმ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვის ცენტრების და მუნიციპალიტეტის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების აქტიურად ჩაბმის უზრუნველყოფა შშმ პირთა წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებისა და საზოგადოებაში შესაბამისი ინკლუსიის კუთხით;

გ) არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მოზიდვა არსებული პროექტების დაფინანსებისა და ხელშეწყობის მიზნით;

დ) მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვის ცენტრებთან ერთად შშმ პირთა საცხოვრებელი, სატრანსპორტო, საზოგადოებრივი და სხვა საკითხების გადასაჭრელად რეკომენდაციების განხილვა და მიღება;

ე) შშმ პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო, მათ შორის დამხმარე საშუალებების, სურსათ-სანოვაგით და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის საკითხების გადაჭრისათვის რეკომენდაციების მომზადება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვის

ცენტრებთან ერთად;

ვ) შშმ პირთა და მათ მიერ შექმნილი საზოგადოებრივი გაერთიანებების გაძლიერებისა და განვითარების ხელშეწყობა;

ზ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვის ცენტრებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შშმ პირთათვის შესაბამისი სპორტის სახეობების დანერგვისა და პარაოლიმპიური მოძრაობის განვითარებისათვის ხელშეწყობა;

თ) შშმ პირთათვის საგანმანათლებლო კულტურული და სპორტული ღონისძიებების გატარებასა და მათ დანერგვაში ხელშეწყობა;

ი) შშმ პირებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;

კ) შშმ პირებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერის კონსულტირება შშმ პირთა წინაშე არსებული საჭიროებების მოგვარების მიმართულებით;

ლ) შშმ პირებთან დაკავშირებით სტრატეგიული და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების, ერთიანი წესების, პირობების, არსებული ვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საკითხებისა და რეკომენდაციების შემუშავება და მუნიციპალიტეტის მერისათვის წარდგენა;

მ) შშმ პირებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის სტრუქტრული ერთეულების და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვის ცენტრების ერთიანი პოლიტიკის კოორდინირება, პრიორიტეტული და მიზნობრივი პროგრამებისა თუ ღონისძიებათა ინიციირება და მათ შემუშავებაში მონაწილეობა;

ნ) შშმ პირებთან დაკავშირებული პროგრამების რეალიზაციის მონიტორინგი, კოორდინაცია, ზედამხედველობა (მათ შორის, მონიტორინგისა და შეფასებების ანგარიშების მოსმენა);

ო) შშმ პირებთან დაკავშირებით მომზადებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა და დასკვნების მომზადება;

პ) სხვა ფუნქციების განხორციელება საბჭოს კომპეტენციიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად საბჭოს უფლება აქვს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვის ცენტრებიდან და მუნიციპალიტეტის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებიდან გამოითხოვოს ოფიციალური მონაცემები და დოკუმენტები.

მუხლი 6. საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

1. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, იწვევს და უძღვება (მორიგ და რიგგარეშე) სხდომებს;

ბ) წარმოადგენს საბჭოს და საბჭოს სახელით აწარმოებს მიმოწერას;

გ) დავალებებს აძლევს საბჭოს ცალკეულ წევრებს;

დ) ამტკიცებს საბჭოს სხდომის დღის წესრიგს და სამუშაო გეგმას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

ა) თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს მის უფლებამოსილებას;

ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს;

გ) ამ დებულებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 8. საბჭოს მდივანი

1. საბჭოს თავმჯდომარის დავალებით მონაწილეობს შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე მუნიციპალური პროგრამების, აქტივობების და ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში;

2. თანამშრომლობს შშმ პირთა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ახდენს შემოსული განცხადებების, წინადადებებისა და პროექტების ჩაბარებას, დახარისხებას და შესაბამის ადრესატებზე მიწოდებას;

3. საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას იღებს სამოქალაქო სექტორისგან შექმნილი თემატური ჯგუფების მუშაობაში და წარადგენს საბჭოს წინაშე მათ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს;

4. პასუხისმგებელია საბჭოს სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენაზე, სხდომათა მასალების შენახვასა და დაცვაზე;

5. საბჭოს წევრებს წარუდგენს განსახილველი საკითხების ნუსხას;

6. საბჭოზე განსახილველ საკითხთა ჩამონათვალს ურიგებს საბჭოს წევრებს და უწევს კონტროლს დოკუმენტაციის შეგროვებასა და დამუშავებას;

7. აწარმოებს საბჭოს სხდომების საოქმო დოკუმენტაციას;

8. ახორციელებს საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ და მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 9. საბჭოს წევრის უფლებამოსილება

1. საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) საბჭოს სხდომაზე წამოაყენოს საკითხები და წინადადებები, მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვასა და კენჭისყრაში;

ბ) წერილობით აცნობოს საბჭოს თავმჯდომარეს თავისი პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც მისი აზრი პრინციპულად განსხვავდება საბჭოს სხდომაზე მიღებული წინადადების, დასკვნის ან რეკომენდაციისაგან;

გ) საბჭოს გადაწყვეტილებით იყოს მისი ოფიციალური წარმომადგენელი;

დ) პირადი განცხადების საფუძველზე უარი თქვას საბჭოს წევრობაზე.

2. საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომები არასაპატიო მიზეზით;

ბ) შეასრულოს საბჭოს დავალებები და დაიცვას ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები;

გ) წარუდგინოს საბჭოს ანგარიში მისთვის დაკისრებული დავალებების შესრულების შესახებ.

3. საბჭოს წევრს შეიძლება მიეცეს აცილება საკითხების განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდა მისი პირდაპირი ან ირიბი, კერძო ან უწყებრივი დაინტერესება საბჭოში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

4. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია თუ:

ა) იგი ზედიზედ 3-ჯერ გააცდენს სხდომას არასაპატიო მიზეზით;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

გ) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

დ) გარდაიცვალა.

მუხლი 10. საბჭოს სხდომები

1. საბჭოს სხდომები იმართება ორ თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ, საბჭოს

თავმჯდომარის ან საბჭოს წევრთა 50% წერილობითი მოთხოვნით.

2. საბჭოს სხდომის ორგანიზებისა და მისი მიმდინარეობის წესი განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

3. საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი;

4. საბჭოზე საქმიანობის დღის წესრიგიგი განისაზღვრება საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

5. საბჭოს წევრს უფლება აქვს მოითხოვოს საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის დღის წესრიგში შეტანა;

6. საბჭოს წევრს უფლება აქვს სხდომის დაწყების წინ წერილობით წარუდგინოს თავისი პოზიცია თავმჯდომარეს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გაცხადდეს სხდომაზე და გათვალისწინებული იქნას გადაწყვეტილების მიღებისას.

7. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) ოქმის გამომცემი ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება;

ზ) განსხვავებული მოსაზრება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. სხდომას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის/ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

9. საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებას ღებულობს ღია კენჭისყრით.

10. სხდომის ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ სხდომის თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

11. საბჭოს სხდომებზე ხდება დამსწრეთა რეგისტრაცია. საბჭო გადაწყვეტილება-უნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამ-სწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილებისას გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ხმა.

12. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა.

მუხლი 11. ანგარიშის წარდგენა

1. საბჭო მის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშს მერს წარუდგენს წელიწადში ერთხელ.

2. მერს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ანგარიში საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, რომლის მიწოდებასაც უზრუნველყოფს საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს სხვა დანარჩენ წევრებთან კოორდი-ნაციით.

მუხლი 12. საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მერი.